... იწყება "ენძელადან"

სოჭი ცენტრალური სტადიონი 29 მარტი.

"დინამო" (თბილისი) – "დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) 1:0 (0:0)

”დინამო": ურუშაძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე (კანთელაძე) ხურცილავა, რეხვიაშვილი, პეტრიაშვილი, ილიადი, ასათიანი (კუტივაძე) მეტრეველი ვ. ნოდია, მესხი (ლ. ნოდია).

"დნეპრი": პილგუი, სერგეევი (სნიტკო), სარიჩევი, შპაკოვი, გრებენიკი, გრინკო, შნეიდერმანი (პუგაჩი), რომანიუკი (მიროშონი), ლიტოვჩენკო (კრძუეჩევსკი), ბიბა, ლიაბიკი.

მსაჯი ჰ. სტრენცისი (რიგა).

ვიღაცამ იხუმრა, ენძელა თოვლის ყვავილია და მზიურ საქართველოში რა მოიყვანს, მაგრამ რახან წლეულს ჩვენში ასეთი სუსხიანი ზამთარი იდგა, თეთრყვავილა აუცილებლად უნდა მოვიგოთო.

სოჭის სტადიონს ამ დღეს ვერ იცნობდით – ტრიბუნაზე შეკრებილილ 7 ათასამდე მაყურებლიდან, ალბათ ნახევარზე მეტი საქართველოდან იყო ჩამოსული, კერძოდ თბილისიდან.

"წინ, "დინამო"! "მხოლოდ გამარჯვება!" გულშემატკივრების მოსიყვარულე ხელით დაწერილმა ტრანსპარანტებმა ტაშკენტის "ოქროს დღეები" მოგვაგონა. მოწოდება მოწოდებად, მაგრამ როცა კოკისპირულად წვიმს თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში, აქ ლაპარაკიც ზედმეტია იოლ გამარჯვებაზე, რა რანგისაც უნდა იყოს მეტოქე. ძველი საფეხბურთო ჭეშმარიტება ამტკიცებს, რომ წვიმიან ამინდში წყლით გაჟღენთილ მინდორზე, ყველა თანაბარია: ტექნიკური კოლექტივიც და შედარებით დაბალი კლასის გუნდიც.

და მაინც, "დინამოს" გამარჯვებაში ეჭვი არ გვეპარებოდა, ისე მწვავე და დამაჯერებელი იყო ქართველ ფეხბურთელთა იერიში შეხვედრის პირველივე წუთებიდან. "შესავალი" გ. ნოდიამ გააკეთა, რომელმაც ილიადის ზუსტი გადაცემა მიიღო, მაგრამ მიზანში დარტყმულ ბურთს შესაფერისი სიმძლავრე ვერ დაურთო. მეკარემ მოიგერია იგი. ორიოდე წუთის შემდეგ პილგუი კვლავ ხიფათის წინაშე

აღმოჩნდა. ძოძუაშვილის ცნობილი რეიდი ბოლო მომენტში მთელი სისწრაფით მქროლი მცველის მოცელვით დამთავრდა.

მომდევნო 5 წუთის დასასრულს მესხი სწრაფი ფინტით მიუახლოვდა საჯარიმო მოედანს და ზუსტად გადასცა ბურთი კარისკენ გაჭრილ ნოდიას უკანასკნელმა არ დააყოვნა დარტყმა და ბურთი ბადეში აღმოჩნდა. სიხარული ნაადრევი გამოდგა – სტრენცისმა თამაშგარე მდგომარეობა აღნიშნა და სრულიად სამართლიანადაც.

დნეპროპეტროვსკელებმა თანდათანობით "მოიდგეს ფეხი". რაც ცნობილი ფეხბურთელის ბიძას გააზრებული თამაშის წყალობით მოხდა, ვეტერანს თავისი ძველი ხელწერა არ დაუკარგავს და ამ დღეს ისევე ბევრს მოქმედებდა, ქსოვდა რთულ კომბინაციებს, როგორც ოდესღაც კიევის "დინამოში". პეტრიაშვილს, დავალებული ჰქონდა მისი მეურვეობა, მაგრამ შეიძლება ითქვას, ეს მას არ მოუხდა, ვინაიდან დიდა წინა ხაზში თამაშობდა ცეტრალურ თავდამსხმელად.

ტაიმის ბოლო წუთების ღირსშესანიშნაობას შეიძლება მივაკუთვნოთ ხურცილავას მიერ მძლავრად დარტყმული საჯარიმო, მეტრეველისა და მესხის მწვავე შეტევები ახალგაზრდა პილგუის კარზე, რაც მეკარის სასარგებლოდ დამთავრდა.

შესვენებისას "დინამოს" გასახდელში მოგვიხდა ჩასვლა, სიამოვნებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ გუნდის უფროსმა მწვრთნელმა გ. ჩოხელმა მეტად ლაკონურად და ამავე დროს დამაჯერებლად გაარჩია პირველი ტაიმი, სასარგებლო რჩევა–დარიგება მისცა მოთამაშეებს. ფეხბურთელები ყურადღებით უსმენდნენ თავიანთ მწვრთნელს და დაგვერწმუნეთ, მისი ნათქვამიდან ბევრი რამ გადაიტანეს მწვანე მინდორზე.

შეტევა შეტევას მოსდევს, მაგრამ კვლავ შესანიშნავად ირჩევს ადგილებს პილგუი, მან უვნებელყო კარი ხურცილავასა და მეტრეველის მძლავრი დარტყმებისაგან, მაგრამ დინამოელთა კაპიტანმა მაინც იხელთა თავი ერთ–ერთი შეტევის დროს საჯარიმო მოედანზე მიიღო ლ. ნოდიას ოსტატური გადაცემა. თავდაპირველად დარტყმამ მიზანს ვერ მიაღწია, ბურთი ჯერ გ. ნოდიას მიუგორდა, შემდეგ ისევ მეტრეველს...

წამიც და მთელი სტადიონი ფეხზე წამოიშალა. მეტრეველმა კარის ზედა კუთხეში ულამაზესი ბურთი მოათავსა – 1:0. ეს 63–ე წუთზე მოხდა. საფინალო სასტვენამდე 20 წუთი დარჩა. დნეპრელები თითქოს დაემორჩილნენ ბედს – გუნდი

დაღლილი და მოტეხილი ჩანდა ბიბას ახლა დაცვაში უფრო ხშირად ვხედავდით, ვიდრე წინა ხაზზე. რეხვიაშვილმა, მეტრეველმა, ლ. ნოდიამ ზედიზედ მიიტანეს იერიში მეტოქის კარზე, მაგრამ პულგუი ყველა მომენტში მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა.

თამაშის დამთავრებას წუთიღა აკლდა როცა ძოძუაშვილმა კვლავ განახორციელა თავისი რეიდი. სამმა მცველმა თითქმის ერთდროულად შეუტია ჩვენს ფეხბურთელს და იგი საჯარიმო მოედანზე მოცელეს: ასეთ სიტუაციაში ჩვეულებრივ 11 მეტრიანი ინიშნება, მაგრამ სტენცისმა, რომელმაც მშვენივრად ჩაატარა შეხვედრა, ამ შემთხვევაში უხეში დარღვევა არ მიიჩნია.

დინამოელებმა გამარჯვებულთა საპატიო წრე შემოირბინეს ბრძოლის "ენძელათი", რომელიც მათ გაზეთ "სოვეტსკი სპორტის", მთავარმა რედაქტორმა ნ. კისელიოვმა გადასცა. "ფეხბურთი იწყება "ენძელიდან!" – ასე ეწერა სტადიონის აღმოსავლეთ ტრიბუნაზე. თუ ასეა, ჩვენი დინამოელები კარგად შეხვდნენ ახალ საფეხბურთო გაზაფხულს!

ლელო 1.04. 1969 წ.

4 პატარა ინტერვიუ

ამ დღეს ჩვენმა კორესპონდენტმა სოჭის სტადიონზე 2 მწვრთნელისაგან აიღო 4 ინტერვიუ – მატჩამდე და მის შემდეგ.

ვ. ლობანოვსკი–სპორტის ოსტატი, დნეპროპეტროვსკის "დნეპრის" უფროსი მწვრთნელი.

შარშან "დნეპრი" თბილისის "დინამოს" ამხანაგურ მატჩში შეხვდა თავის ქალაქში და დამარცხდა –1:4. არ მინდა ეს "სურათი" სოჭის სტადიონზეც გამეორდეს.

ბ. ჩოხელი – სპორტის დამსახურებული ოსტატი, თბილისის "დინამოს" უფროსი მწვრთნელი.

– "დნეპრი 69" ჩვენთვის უცნობია, რა დასამალია, რომ ამ ტურნირში ჩვენ უფრო სხვა გუნდების თამაშს ვუკვირდებოდით. ვიდრე დნეპროპეტროვსკისას ვინ იფიქრებდა, რომ ეს ახალგაზრდა გუნდი მოსკოვის "ლოკომოტივს" დაჯაბნიდა და ფინალისტი გახდებოდა. ერთი მაფიქრებს, რომ გაგვიძნელდება სველ მინდორზე თამაში.

ვ. ლოგანოვსკი მე კმაყოფილი ვარ თამაშითაც და წარმოიდგინეთ, შედეგითაც წააგო მინიმალური ანგარიშით თბილისის "დინამოსთან". მეორე ჯგუფის გუნდისთვის ეს ურიგო როდია. ფინალში მონაწილეობა უკვე დიდი საქმეა. მახარებს ჩვენი ყველაზე ახალგაზრდა წევრის – მეკარე პოლგუის წარმატება იგი დღითიდღე იზრდება.

გ. ჩოხელი: თამაშით კმაყოფილი არა ვარ, შედეგი კი, ცხადია, მახარებს, არც ერთ წუთს არ მავიწყდება, რომ "ენძელას" თასის მონაწილეთა შორის არ იყვნენ არც ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი და არც მოსკოვის საუკეთესო გუნდები. მათთან ბრძოლა კი აწი მოგვიწევს, სეზონი ჯერ არ დაწყებულა, ჩვენს გუნდში კი უკვე 5 წამყვანი ფეხბურთელი არაა მწყობრში. ესენია გ. გავაშელი, რომელიც, ალბათ კიდევ 10 დღე ვერ ითამაშებს კუნთის გაჭიმულობის გამო, გ. სიჭინავა (იგი მხოლოდ 3–4 დღეა ვარჯიშობს) და ვ. ჭელიძე, რომელმაც დღევანდელი მატჩის დასასრულს იტკინა ფეხი. იმედი მაქვს, ისინი მალე შეძლებენ სრულ დატვირთვით თამაშს.

ლელო 1 აპრილი 1969 წ.

გზა ფინალისკენ

გაზეთ "სოვეტსკი სპორტის" წინასასეზონო ტრადიციული პრიზი –"ენძელას" თასი წლეულს მესამედ გათამაშდა. მისი მფლობელი, როგორც ცნობილია გახდა თბილისის "დინამო" და ჩვენი გუნდის ეს წარმატება უდავოდ, მრავლისმეტყველია. დინამოელები კარგ ფორმაში ხვდებიან წინამდებარე რთულ სეზონს.

სტატისტიკის მოყვარულთათვის, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ თბილისელთა ყველა თამაში "ენძელას" წლევანდელ ტურნირში.

მე–3 ჯგუფში თბილისის "დინამოსთან" ერთად მონაწილეობდნენ ქუთაისის "ტორპედო" (გუნდმა აქ მე–2 ადგილი დაიკავა 2 მოგებით. 1 ფრედ დამთავრებული თამაშით და 1 წაგებით), მინსკის "დინამო" სვერდლოვსკის "ურალმაში" და დონეცკის "შახტიორი".

თბილისელებმა მოიგეს ყველა შეხვედრა. მათ ქუთაისის "ტორპედო" დაამარცხეს ანგარიშით 2:0 (ორივე ბურთი გაიტანა გავაშელმა), სვერდლოვსკის "ურალმაში" –2:1 (ილიადი, გ. ნოდია), დონეცკის "შახტიორი" – 2:1 (გავაშელი, ილიადი)

და მინსკის "დინამო" – 4:0 (გ. ნოდია –2 ილიადი, მესხი) ამრიგად, გუნდმა მოაგროვა 8 ქულა, ბურთების სხვაობით: 10–2.

ნახევარფინალში დინამოელთა მოწინააღმდეგე იყო ერევნის "არარატი" თბილისის "დინამომ" ეს მატჩი მოიგო ანგარიშით 3:1. ბურთები გაიტანეს ასათიანმა, ილიადიმ და გ. ნოდიამ.

ფინალში დინამოელებმა დაამარცხეს დნეპროპეტროვსკის "დნეპრი" –1:0. გოლის ავტორია მეტრეველი.

ამრიგად 4–4 ბურთი გაიტანეს ილიადიმ და გ. ნოდიამ, 3–გავაშელმა და თითო – ასათიანმა, მესხმა და მეტრეველმა.

ლელო 1 აპრილი 1969 წ.